

## **ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ**

### **მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1. ბანკი კლიენტს გაუხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და გაუწევს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით.
- 1.2. ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებათა მისაღებად კლიენტი ბანკს მიმართავს შესაბამისი წერილობითი განაცხადით (ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით), რომლითაც ის იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას, ეთანხმება და უერთდება მას. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტს უარი განუცხადოს მომსახურების გაწევაზე უარის მიზეზ(ებ)ის განმარტების გარეშე.
- 1.3. ანგარიშ(ებ)ი იხსნება კლიენტის განაცხადისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების საფუძველზე, რომელთა უტყუარობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამასთან ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტაციის წარმოგენა არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას გაუხსნას კლიენტს ანგარიში და გაუწიოს შესაბამისი მომსახურება.

### **მუხლი 2. მხარეთა განცხადებები და გარანტიები**

#### **2.1. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ**

2.1.1. მხარეები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით..

2.2. მხარეები მოქმედებენ და მომავალშიც ითანამშრომლებენ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით.

2.2. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

2.2.1. მის მიერ ბანკისთვის წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის უტყუარი, ზუსტი და ამომწურავი. კლიენტის ქმედება არ არის მიმართული ბანკის მოტყუებისაკენ. ასევე, მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის ყალბი ან/და არასწორი (სინამდვილესთან შეუსაბამო) ინფორმაციის/ცნობ(ებ)ის მიწოდება წარმოადგენდეს საკმარის საფუძველს ამ ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად.

2.2.2. ამ ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;

2.2.3. უარს არ იტყვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს.

### **მუხლი 3. კლიენტის საბანკო ანგარიშები, ფულადი სახსრების ჩამოწერა და ტარიფები**

3.1. კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩაირიცხოს, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით.

3.3. ბანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა, როგორც წესი, ხორციელდება კლიენტის თანხმობით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით:

3.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშებიდან უაქცეპტო წესით (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) მოახდინოს თანხების ჩამოწერა შემდეგ შემთხვევებში:

3.3.1. ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად (იქნება ეს მიმდინარე დავალიანება, საკომისიოები თუ სხვა).

3.3.2. კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, შეცდომით ჩაირიცხული ან/და საეჭვო თანხ(ებ)ის უკან დასაბრუნებლად;

3.3.3. ამ ხელშეკრულებითა ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მათ შორის საინკასო დავალებისას).

3.4. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ან ვალდებულება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი დგინდება თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით. ბანკს ენიჭება უფლებამოსილება კლიენტის თანხმობის გარეშე მოახდინოს კონვერტაცია.

3.5. საინკასო დავალების შემთხვევაში, საინკასო დავალიანების დაფარვის მიზნით, ბანკი უფლებამოსილია ანგარიშზე ეროვნული ვალუტის საკმარისი რაოდენობით არ არსებობის შემთხვევაში, კლიენტის თანხმობის გარეშე მოახდინოს ვალუტის კონვერტაცია კლიენტის ანგარიშიდან გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. საინკასო დავალების გადახდის/განაღების/გაწვევის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ ბანკი განახორციელებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ თანხის კონვერტაციას, ბანკი კლიენტს დააკისრებს კურსთა კონვერტაციის სხვაობას. (სხვაობა ბანკის კომერციულ კურსსა და ეროვნული ბანკის კურსს შორის). 3.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული კლიენტის დავალების გარეშე განახორციელოს თანხების ჩამოწერა კლიენტის დავალიანების დაფარვის მიზნით.

3.7. კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება ბანკის ტარიფებით, რომლის შესახებ მონაცემები მოცემულია ბანკის ვებ - გვედრზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge)

3.8. ბანკის ტარიფების შესახებ ბანკი და კლიენტი შეიძლება შეთანხმდნენ ინდივიდუალურად.

3.8. ბანკის ტარიფები შეიძლება ცალმხრივად შეიცვალოს ბანკის მიერ ბანკის ვებ - გვედრზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge) გამოქვეყნების გზით.

3.9. ბანკის ტარიფები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

#### **4. მხარეთა ვალდებულებები**

4.1 კლიენტი ვალდებულია:

4.1.1. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

4.1.2. დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს ბანკს მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ.

4.1.3. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან/კლიენტთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია;

4.1.4. დაიცვას ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალებსა და ვებ - გვერდზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge) აღწერილი პროცედურები და რეკომენდაციები;

4.1.5. კლიენტს ეკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნით.

#### **4.2 ბანკი ვალდებულია:**

4.2.1. მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ;

4.2.2. შეასრულოს კლიენტის დავალებები ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2.3. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

4.3. ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომელიც არ არის გამოწვეული ბანკის მიზეზით (მათ შორის კლიენტის მიერ განაცხადის/საგადახდო დავალების არასწორად შევსებით, კლიენტის ტექნიკური მოწყობილობების გაუმართაობით, ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის მიზეზით ან/და ნებისმიერი სხვა მიზეზით);

4.4. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

#### **5. საბანკო საიდუმლოება**

5.1. ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტის პერსონალური მონაცემები, კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება

(კონფიდენციალობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებთაც არ ილახება კლიენტის ინტერესები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 863-ე მუხლის შესაბამისად). ბანკის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

5.2. კლიენტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას, ბანკში დაფიქსირებულ კლიენტის ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართზე, ბანკის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა (პირდაპირი მარკეტინგი), მანამ სანამ ბანკი კლიენტისგან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ამასთან პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და კლიენტი არ იქნება უფლებამოსილი ბანკს მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები კლიენტს მიეწოდება უშუალოდ ბანკის მომსახურების წერტილებში ან ბანკის კუთვნილ ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტბანკი, მობილ ბანკი და სხვა).

5.3. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

5.4. ბანკი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ნებისმიერი ბაზიდან ან სხვა ნებისმიერი მსგავსი ორგანიზაციიდან (კერძო და საჯარო) საჭირო მოცულობით, მიიღოს და დაამუშავოს ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

5.5. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ კლიენტის ნებისმიერი დოკუმენტაცია (მ.შ. პერსონალური ინფორმაცია) შენახვის მიზნით გადასცეს სახელმწიფო არქივს ან ამ პროფილის კომერციულ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდებული დოკუმენტაციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაარქივებასა და უსაფრთხო პირობებში შენახვას კონფიდენციალობის წესების სრული დაცვით.

5.6. ბანკი უფლებამოსილია ბანკის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საჭიროების შესაბამისად, გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა; 5.7.

## 6. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტში აღნიშნული განაცხადის მიღების, შესწავლის და ბანკის მიერ დადასტურების მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

6.2. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიში ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა ანგარიშის დახურვამდე ან მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინებით იმ პირობით, რომ კლიენტი სრულად დაფარავს შეწყვეტამდე წარმოშობილ დავალიანებას (მათ შორის ვადადაუმდგარი), შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2.1. ხელშეკრულების შეწყვეტისას კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთის ანგარიშიდან დაუყოვნებლივ სრულად გატანა ან გადარიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილი იქნება ანგარიშზე არსებული ნაშთი გადაიტანოს ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე.

6.3 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:

6.3.1. შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტისთვის შეტყობინებით ;

6.3.2. ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე ხელშეკრულების პირობებში ბანკის ვებ- გვერდზე [www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge) , ან/და კლიენტის- ელ ფოსტაზე ან/და ინტერნეტ -ბანკში შეტყობინების გაგზავნით ან/და ბანკის ფილიალებისა და სერვისცენტრების შენობებში შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლამდე 30 (ოცდაათი) კალენდარი დღით ადრე გამოქვეყნების გზით. კლიენტი უფლებამოსილია ბანკის მიერ ინფორმაციის ამ პირობებით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან მის ძალაში შესვლამდე სათანადო განაცხადის წარდგენით, მოითხოვოს ამ პირობებით განსაზღვრული ყველა ან რომელიმე მომსახურების შეწყვეტა, რისთვისაც სრულად უნდა დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება (არსებობისას). წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის შეთავაზებული ცვლილებები მიჩნეული იქნება კლიენტის მიერ მიღებულიად;

6.3.3. კლიენტის შეტყობინების გარეშე დახუროს კლიენტის ანგარიში კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, ანგარიშზე 1 (ერთი) წლის განმავლობაში ნაშთის არარსებობის ან/და ანგარიშის მეშვეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში. ბანკში ასევე უფლებამოსილია კლიენტს ანგარიში დაუხუროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც.

6.4. ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას კლიენტი ვალდებულია დაფაროს ბანკის მიმართ არსებული ნებისმიერი დავალიანება შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. კლიენტის მიერ შეწყვეტამდე გახდილი საკომისიოები(ტარიფები) არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

6.5. ცვლილებები რომელიც არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას შეიძლება ძალაში შევიდეს ბანკის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ დროს.

6.6. ბანკი არ არის ვალდებული კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტისთვის სასარგებლო ცვლილებების შესახებ.

6.7. ამ ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.8 ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა):

6.9. კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად მომხმარებელს შეუძლია მიმართოს სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს სატელეფონო სერვისცენტრს (+995 322) 265 000. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებგვერდის ([www.pashabank.ge](http://www.pashabank.ge)) საშუალებით. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა, განმცხადებლის მომართვისა და იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს ერთი თვე. პრეტენზიებს განიხილავს სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილება. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო ან სხვა). პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით. პრეტენზიასთან დაკავშირებით კლიენტსა და ბანკს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ბანკის შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [customercare@pashabank.ge](mailto:customercare@pashabank.ge).

## **7. ბარათით მომსახურება**

7.1. ბარათით მომსახურება გულისხმობს ბანკის მიერ გამოშვებული „ვიზა“ (VISA) ან „მასტერქარდ“ (MasterCard) პლასტიკური ბარათის (შემდგომში "ბარათის"), მეშვეობით, ბიზნესბარათის გარდა, კლიენტის ან მის მიერ წერილობით დასახელებული პირის მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელებას.

7.2. ბარათს ბანკი ამზადებს კლიენტის მიერ შევსებული სათანადო განაცხადის საფუძველზე და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ პინ კოდთან ერთად, ბანკს უფლება აქვს პინკოდის გადაცემისთვის გამოიყენოს SMS შეტყობინება.);

7.3. ბარათების დაკავშირებულ ურთიერთობებში მის გამუყოფელ ნაწილს წარმოადგენს საერთაშორისო საგადახდო სისტემების პროცედურები და წესები. ბარათით მომსახურებაზე ასევე ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით;

7.4. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი ბარათის დამზადებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში არ მოითხოვს ბარათს, მაშინ აღნიშნული ბარათი ექვემდებარება განადგურებას. გადახდილი ბარათის დამზადების საკომისიო არ ბრუნდება.

7.5. ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადის მიხედვით. ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.

7.6. ბარათის მფლობელი არის პირი, რომლის სახელზეც გაცემულია ბარათი (შესაძლებელია იყოს კლიენტი ან მის მიერ დასახელებული პირი). ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია ხდება ბარათის ზედაპირზე მითითებული სახელით, გვარით, მასზე დატანილი ხელმოწერის ნიმუშითა და საიდუმლო პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდით (პინ-კოდი).

7.7. ბანკს უფლება აქვს დააკავშიროს სხვადასხვა ვალუტის ანგარიში ერთ პლასტიკურ ბარათთან ან რამდენიმე ბარათი ერთ საბანკო ანგარიშთან. ვალუტების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს კლიენტი. ინფორმაცია პლასტიკური ბარათის ანგარიშზე/ანგარიშებზე არსებული ნაშთის/ნაშთების შესახებ, საბარათე სისტემაში მითითებულია პრიორიტეტულ ვალუტაში, იმ დღეს მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

7.8. კლიენტი ვალდებულია:

7.8.1. ბარათის გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია პინ-კოდი ან SMS-შეტყობინება, რომლითაც შესაძლებელია პინ-კოდის მიღება;

7.8.2. შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბანკს;

7.8.3. არ დაუშვას ბარათის ან/და პინ-კოდის მესამე პირებისთვის გადაცემა (გამჟღავნება);

7.8.4. ანაზღაუროს ბანკის მიერ გაწეული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია „ვიზას“ (VISA) და „მასტერქარდის“ (MasterCard) მიერ ბარათის დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7.9. გასაჩივრება

7.9.1. კლიენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მის საბარათე ანგარიშზე წარმოებული გადახდის ოპერაციები და სხვა უზუსტობები გადახდის ოპერაციის შესრულებიდან 120 კალენდარული დღის განმავლობაში (გადახდის ინტერნეტის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში 75 დღის განმავლობაში) საგადახდო სისტემის მიერ სადავო ტრანზაქციის პროცესირების დღის გათვალისწინებით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ოპერაცია ჩაითვლება კლიენტის მიერ დადასტურებულად. ამასთან, კლიენტის მიერ რაიმე ოპერაციის გასაჩივრება არ აღნიშნავს ბანკის უპირობო ვალდებულებას აუნაზღაუროს კლიენტს აღნიშნული ოპერაციების ჩატარების შედეგად მიყენებული ზარალი. კლიენტის მიერ ოპერაციების გასაჩივრების თითოეული შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად შესაბამისი საგადახდო სისტემების მიერ დადგენილი წესების, საერთაშორისო და ადგილობრივ საბანკო სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკის და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;

7.9.2 კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში გადაიხადოს საგადახდო ბანკის მიერ პრობლემის გამოძიებასთან დაკავშირებით დაწესებული დამატებითი მომსახურებების საფასური;

7.9.3. გასაჩივრებული თანხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, კლიენტის საბარათე ანგარიშზე თანხის ასახვა მოხდება გასაჩივრებიდან არაუგვიანეს 120-ე დღისა.

7.9.4. ბარათით გადახდის ოპერაციის განხორციელება ინტერნეტში დასაშვებია მხოლოდ უსაფრთხო გადახდის სერთიფიკაციის მქონე ვებ-გვერდებზე. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ უსაფრთხოების გადახდის სერთიფიკაციის არ მქონე ვებ - გვერდებზე განხორციელებულ ოპერაციებზე;

7.9.5. საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა შესაძლებელია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში;

7.9.6. ბანკს უფლება აქვს, შეუზღუდოს კლიენტს გადახდის ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობა, თუ ოპერაციის მოცულობა აჭარბებს კლიენტის ბარათზე დადგენილ განაღდების ან ანგარიშსწორების ლიმიტებს ან ოპერაცია ეწინააღმდეგება წინამდებარე ან საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ დადგენილ პირობებს;

7.9.7. ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს ბარათი ან/და საბარათე ანგარიში (შეაჩეროს გადახდის ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) კლიენტმა არასწორი ინფორმაცია მიუთითა განაცხადში;
- ბ) გაჩნდება ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან საბარათე ანგარიშზე ხორციელდება ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია;
- გ) არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მიღებისთანავე;
- დ) კლიენტის მიერ ამ პირობებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით)



ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

7.9.8. ბანკომატში PIN-კოდის 3-ჯერ არასწორად შეყვანისას, ბარათი ავტომატურად იბლოკება. სხვა ბანკის ბანკომატის შემთხვევაში ბარათის მფლობელი უნდა დაუკავშირდეს ბანკს ახალი ბარათის მისაღებად. სხვა ბანკის ბანკომატში დაკავებული ბარათის შემთხვევაში კლიენტი პასუხისმგებელია ახალი ბარათის დამზადების საკომისიოს გადახდაზე;

7.9.9. კლიენტის/ბარათის მფლობელის რომელიმე ანგარიშზე საინკასო დავალების ან ყადაღის დადების შემთხვევაში, კლიენტის/ბარათის მფლობელის ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ან/და ოვერდრაფტის ათვისების შესაძლებლობა უქმდება.

7.9.10 დამატებითი ბარათი კლიენტს შეუძლია, ბანკისაგან მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის და მათი შესაბამისი პინ კოდ(ებ)ის გაცემა. დამატებითი ბარათის გაცემაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, დამატებითი ბარათის მფლობელს გააცნოს წინამდებარე პირობები.

7.9.11 კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი ანგარიშ(ებ)ის შესახებ; დამატებითი ბარათით სარგებლობის შედეგად, ბანკის წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებელია კლიენტი;

7.9.12 ახალი დამატებითი ბარათის დამზადების მოთხოვნა კლიენტს და ბარათის მფლობელს შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივად.

7.9.13. ბარათის მოქმედება შეჩერდება ბარათის მფლობელის სურვილის დაფიქსირების, ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში. ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით ან ტელეფონით (ნომერზე +99532 265000) შეატყობინოს ბანკს.

ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მოქმედების შეჩერებას ბარათის მფლობელის მიერ განსაზღვრული მეთოდის მიხედვით ბარათის მონაცემების შეტანით სტოპ-სიაში („სტოპ-სია“ არის, იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებზედაც შეზღუდულია ტრანზაქციების განხორციელება და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი);

ა) ლოკალურ სტოპ-სიაში, რომელიც მაქსიმუმ 1 (ერთ) საბანკო დღეში უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას მხოლოდ ავტორიზებული ტრანზაქციებისთვის;

ბ) საერთაშორისო სტოპ-სიაში, რომელიც უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას (არავტორიზებული ტრანზაქციებისთვის) მაქსიმუმ 14 (თოთხმეტ) საბანკო დღეში.

7.8.14. ბარათის მოქმედების შეჩერების შესახებ ბანკისათვის სატელეფონო შეტყობინების მიწოდებიდან არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა კლიენტი ვალდებულია, ბანკში წარადგინოს წერილობითი განცხადება “ბარათის“ დაკარგვის შესახებ და მიუთითოს სტოპ

სიის (ლოკალური, საერთაშორისო) ტიპი, რომელშიც უნდა მოთავსდეს “ბარათი“. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს დაკარგული ბარათით განხორციელებულ ოპერაციებზე;

7.9.15. ბანკი კლიენტის ხარჯზე უზრუნველყოფს ბარათის განთავსებას განცხადებაში მითითებულ სტოპ-სიაში. ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო;

7.9.16. დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის ბანკს;

7.9.17. ბარათის დაკარგვის მომენტიდან, ბანკში შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის ანგარიშიდან ჩამოწეროს (შესაბამისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში) ან დაბლოკოს, ბარათით ჩატარებული გადახდის ოპერაციისთვის საჭირო თანხა ან თანხის ექვივალენტი სხვა ვალუტაში;

## **7.8. არასანქცირებული ოვერდრაფტი**

7.8.1. არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეავსოს თანხა ნულოვანი ნაშთის ოდენობამდე;

7.8.2 არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობისათვის, კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს საპროცენტო სარგებელი წარმოშობის თარიღიდან, მის სრულად დაფარვამდე, რომლის განაკვეთი განისაზღვრება არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის მომენტისთვის ბანკის მიერ არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობისთვის დადგენილი საკომისიოს შესაბამისად, კალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით.

## **მუხლი 8. სხვა საბანკო მომსახურებები**

8.1. კლიენტის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე განაცხადის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია კლიენტს გაუწიოს სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით მომსახურება, რაც არ არის ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული.

8.2. 8.1. პუნქტში გათვალისწინებული პროდუქტებით მომსახურება, სანამ არ მოხდება ასეთის დაკმაყოფილება ბანკის მიერ და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს ბანკის შეპირებასა და ვალდებულებას ბანკის მიერ განხორციელდეს ასეთი მომსახურება.

8.3. კლიენტისთვის ცნობილია, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის თანახმად, ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 5,000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის

გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: [www.diagency.ge](http://www.diagency.ge)

## **მუხლი 9. ფორს-მაჟორული გარემოება**

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი (გადაულახავი) ძალის პირდაპირი ზემოქმედებით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტით ან ქმედებით და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები). ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

## **მუხლი 10. დავების გადაწყვეტა**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

10.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს ქ.თბილისის, საქალაქო სასამართლოს

## **მუხლი 11. დასკვნითი დებულებები**

11.1 ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული მხოლოდით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითსაც და პირიქით;

11.2. ამ ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეთა უფლებამონაცვლეებზე/სამართალმემკვიდრეებზე/მემკვიდრეებზე;

11.3 კლიენტს უფლება არ აქვს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე პირობებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. ამასთან, არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა კლიენტი;

11.4 ბანკს უფლება აქვს, კლიენტის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე პირობებით შეძენილი ნებისმიერი უფლება;

11.5. პირობები შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირობების არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება წინააღმდეგობა, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას;

